



მიზნის ფორმირების SMART მეთოდი

როდესაც ბიზნესიდაზე ფიქრს იწყებ, აუცილებელია, თავიდანვე გქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი, რომელსაც შენ სამომავლო მოქმედებებს დაუკავშირებ. მიზანი არის საბოლოო შედეგი – ის, რისი მიღწევაც გსურს შენი ბიზნესიდით. მიზნის გონივრულად დასახვისა და მისი სწორი ფორმირებისთვის გამოიყენება SMART სისტემა, რომლის მიხედვითაც მიზანი უნდა იყოს:

S

Specific სპეციფიკური

მიზანი უნდა იყოს სპეციფიკური, კონკრეტული და განსაზღვრული.

გამორიცხეთ ყველა სახის ზოგადი ფორმულირება და ზუსტად განსაზღვრეთ ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღებაც გსურთ.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *ხას უნდა მივალწიო?*
- *ხატომ უნდა მივალწიო?*
- *ვინ ახის ჩაჩთუდი ამ პირობებში?*
- *ხა ადგილზე/გეოგრაფიაზე ვმოქმედებ მიზნის მისაღწევად?*
- *ხოგოხია შეზღუდვები და შესაძლებლობები?*

M

Measurable გაზომვადი

მიზანი უნდა იყოს გაზომვადი და ბინარული, ანუ კითხვაზე – მიღწეულია თუ არა მიზანი, უნდა არსებობდეს 2 შესაძლო პასუხი: “კი” ან “არა”. თუ შესაძლებელია, გამოსახეთ მიზნის მიღწევის ეფექტურობა პროცენტულად.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *ხამდენი?*
- *ხამდენად?*
- *ხოგოხი გავიგებ, ხომ მიზანი მიღწეულია?*

A

Achievable მიღწევადი

მიზანი უნდა იყოს რეალისტური და მიღწევადი. განსაზღვრეთ რეალური გზა, რომლითაც მიიღწევა მიზანი და გაითვალისწინეთ თქვენი რესურსები – კავშირები, ცოდნა, გარემო ფაქტორები, უნარ-ჩვევები და ბიუჯეტი.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *ხა ხესუსები მაქვს მიზნის მისაღწევად?*
- *ხა გიჰის დამატებითი ხესუსები უნდა მოვიძიო მიზნის მისაღწევად?*
- *ხა ახის ის დოკუმენტი ნაბიჯები, ხაც უნდა გადავდგა მიზნის მისაღწევად?*

R

Realistic რეალისტური

მიზანი უნდა იყოს შესაბამისი, ადეკვატური, აქტუალური და უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებისა, თუ კომპანიის რეალურ საჭიროებებს. ის უნდა იყოს გამოსაძეგი, დროული, შედეგიანი, მისიასა და ხედვაზე მორგებული.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *ღიხს ამ იდეაზე მუშაობა?*
- *ამ ეტაპზე ეს მაჩთდა საჭიხოა?*
- *შეესაბამება თუ ეწინააღმდეგება ის ჩემს სხვა მიზნებს?*
- *შეესაბამება ის ჩემს ხესუსებს?*
- *საუკეთესოა ის შესაძლო სხვა მიზნებს შოხის?*

T

Timebound დროში განსაზღვრული

მიზანი უნდა იყოს დროში განსაზღვრული.

განსაზღვრეთ მიზნის მიღწევის ბოლო ვადა, ეს აუცილებელია მიზანზე კონცენტრირებისთვის, დროის მართვისთვის, ადამიანური სისუსტეების დაძლევისა და მეორეხარისხოვანი ამოცანების გამორიცხვისთვის.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *ხოდის?*
- *სად უნდა ვიყო 1 თვის შემდეგ? 6 თვის შემდეგ? 1 წლის შემდეგ?*

ჩაი მიზანი
